

ნინო ქუმსიშვილი
რატი ჯულაყიძე

მაია ოთიაშვილი
ირინე მიქაძე
ია გაბუნია

მუსიკა 6

მოსწავლის წიგნი

(მეორე ნაწილი)

გრიფინიჭებულია საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს

გამომცემლობა „წყაროსთვალი“

გამომცემლობა „კლიო“



ნინო ქუმსიშვილი
რატი ჯულაყიძე

მაია ოთიაშვილი
ირინე მიქაძე
ია გაბუნია

მუსიკა

VI კლასი, მოსწავლის წიგნი

(მეორე ნაწილი)

მუსიკალური რედაქტორი:
ირინე მიქაძე, მარინე დაფქვიაშვილი

ლიტერატურული რედაქტორი:
თამარ გუჯაბიძე, თეა პიტიურიშვილი

სანოტო ტექსტის კომპიუტერული უზრუნველყოფა:
მიხეილ ვაწაძე, სოფო სალარაძე

ელექტრონული რესურსის უზრუნველყოფა,
ფონოგრამები და LMMS-ის აქტივობები – **მიხეილ ვაწაძე**

დიზაინი და მხატვრობა: **ელენე ვარამაშვილი, ია გაბუნია**
ყდის დიზაინი – **ირმა ლიპარტელიანი**

© გამომცემლობა „წყაროსთვალი“, 2018

© გამომცემლობა „კლიო“, 2018

© მაია ოთიაშვილი, ირინე მიქაძე, ია გაბუნია,
ნინო ქუმსიშვილი, რატი ჯულაყიძე, 2018

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-441-69-1

ISBN 978-9941-441-72-1

შპს „გამომცემლობა წყაროსთვალი“
გარე კახეთის. №4, თბილისი
მობ.: 599 76 10 39



შპს „გამომცემლობა კლიო“
აღმაშენებლის გამზ. №181-2, თბილისი, 0112
ტელ.: (+995 32) 234 04 30
E-mail: book@kllo.ge
www.kllo.ge

სარჩევი

● მუსიკა საბალეტო თეატრში

56 ბალეტი	5
57-58 ამოიცანი მეტრი და რიტმი	9
59 მუსიკა და პლასტიკა	12
60 „ბავშვი და ჯადოსნობა“	14
61 ბალეტის ისტორიიდან – 1	15
62 საბალეტო-საცეკვაო სცენები ქართულ ოპერაში	17
63 „გორდა“	18
64 ბალეტის ისტორიიდან – 2	20
65 „მაკნატუნა“	22

● ეთნოგრაფია და მუსიკა

66 ფოლკლორი პროფესიულ მუსიკაში.....	24
67 იაენანა	25
68 სპირიჩუელსი	27
69 ქართველო, ხელი ხმალს იკარ.....	30
70 მრავალჟამიერ.....	31
დანართი.....	33
ლექსიკონი	47



პირობითი ნიშნები და მათი განმარტება



იმუშავე კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ში



იმღერე



მოისმინე



დაიმახსოვრე



უპასუხე კითხვებს



უყურე ვიდეოს



ბალეტი

ოპერასთან ერთად ბალეტი მუსიკალურ-თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე რთული და მრავალფეროვანი ჟანრია. მისი საფუძველია ცეკვა. თავად სიტყვა „ბალეტი“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „ballo“ და ნიშნავს „ვცეკვავ“. ბალეტში, ცეკვასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია პანტომიმა. გაიხსენე, რა არის პანტომიმა? ამასთან, საბალეტო სპექტაკლში ხელოვნების სხვა დარგებიცაა გაერთიანებული. უპირველეს ყოვლისა, მუსიკა, ასევე, მხატვრობა, დრამატული თეატრალური ხელოვნება, ლიტერატურა.

საბალეტო სპექტაკლს საფუძვლად უდევს ლიბრეტო, რომელიც რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვითაა აგებული. საუკუნეთა მანძილზე, ბალეტი თანდათან გასართობი ხელოვნებიდან სერიოზულ ხელოვნებად იქცა. მთელს მსოფლიოში ცნობილი და პოპულარული ბალეტების ავტორი პიოტრ ჩაიკოვსკი ამბობდა: „ბალეტი იგივე სიმფონიააო“. მისი ბალეტები, რომლებიც ფრანგ ქორეოგრაფ მორის პეტიპასთან ერთად შეიქმნა, ღრმა შინაარსითა და გრძნობებით გამოირჩევა. ეს ბალეტები აკადემიური, კლასიკური ბალეტების ნიმუშებად იქცნენ.

გაიხსენე ჩაიკოვსკის ზღაპრული ბალეტები, რომელთაც ბედნიერი დასასრული აქვთ, რომლებშიც სიყვარული და სიკეთე ყოველთვის ამარცხებს ბოროტებას.



მოისმინე მუსიკალური ფრაგმენტები ჩაიკოვსკისა და სხვა კომპოზიტორთა შენთვის ცნობილი ბალეტებიდან და მიუსადაგე ფოტოებს.





გაიხსენე, რომელი ლიტერატურული ნაწარმოებები უდევს საფუძვლად მათ ლიბრეტოებს?

შენი აზრით, ამ ბალეტების მთავარ გმირებს აქვთ თუ არა საკუთარი მუსიკალური დახასიათება – ლაიტთემები?

გაიხსენე მაგალითები (ჩაიკოვსკის „გედების ტბა“, „მძინარე მზეთუნახავი“, სტრავინსკის „ფასკუნჯი“, პროკოფიევის „კონკია“).



პიოტრ ჩაიკოვსკი



სერგეი პროკოფიევი



იგორ სტრავინსკი

ერთხელ სიზმარში Once Upon A Dream

Lyrics from “Sleeping Beauty”

Written by Sammy Fain and Jack Lawrence

I know you, I walked with you once upon a dream
I know you, the gleam in your eyes is so familiar a gleam
Yet I know it's true that visions are seldom all they seem
But if I know you, I know what you'll do
You'll love me at once, the way you did once upon a dream

But if I know you, I know what you'll do
You'll love me at once
The way you did once upon a dream

I know you, I walked with you once upon a dream
I know you, the gleam in your eyes is so familiar a gleam
And I know it's true that visions are seldom all they seem
But if I know you, I know what you'll do
You'll love me at once, the way you did once upon a dream



უყურე ორ ვიდეოფრაგმენტს „მძინარე მზეთუნახავის“ თემაზე შექმნილი ანიმაციური და მხატვრული კინოფილმებიდან. ამოიცანი შენთვის ნაცნობი ვალსის თემა ჩაიკოვსკის ბალეტიდან, რომლებიც სიმღერების სახითაა წარმოდგენილი.



ONCE UPON A DREAM

from Walt Disney's SLEEPING BEAUTY

Words and Music by SAMMY FAIN
and JACK LAWRENCE
Adapted from a Theme by TCHAIKOVSKY

Moderately
♩ = 135

mp

$A\flat/B\flat$ $B\flat^7$ $E\flat$ $B\flat^9$

$E\flat$ $E\flat\text{maj}^7/B\flat$ $E\flat$ $E\flat\text{maj}^7/B\flat$ $B\flat^9$ Fm^5/D

I know you! I walked with you once up -

$E\text{dim}$ Fm $B\flat/F$ $G\flat\text{dim}^7$ Fm^7

-on a dream. I know you! The

$B\flat^7$ $A\flat/E\flat$ $E\flat$ $B\flat^7/E\flat$ $E\flat$ Fm^7 $B\flat^9$

gleam in your eyes is so fa - mil - iar a gleam. Yet, I



მოუსმინე სიმღერას და თვალი ადევნე სანოტო ჩანანერს.

ამოიცანი მეტრი და რიტმი

შენი აზრით, მუსიკის გამომსახველი საშუალებებიდან: მელოდია, რიტმი, მუსიკალურ საკრავთა ტემპი, ტემპი, დინამიკა – რომელია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბალეტში?



ყურადღებით ნახე ფრაგმენტები საბალეტო სპექტაკლებიდან:

1. „პატარა გედების ცეკვა“ პ. ჩაიკოვსკის ბალეტ „გედების ტბიდან“;
2. „ყვავილების ვალსი“ პ. ჩაიკოვსკის ბალეტ „მაცნატუნადან“;
3. სცენა და გოგონების ცეკვა ლ. მინკუსის ბალეტ „დონ კიხოტიდან“;
4. ვალსი პ. ჩაიკოვსკის ბალეტ „მძინარე მზეთუნახავიდან“.

ამოიცანი მეტრი და რიტმი საბალეტო ცეკვებში:

ა) დაადგინე თითოეულ ფრაგმენტში მოცემული ცეკვის მეტრი. აღნიშნე, რა მოძრაობებით გამოიყოფა ძლიერი თვლა;

ბ) რომელი ცეკვაა 2/4 თვლაზე, 3/4 და 4/4 თვლაზე?

გ) რა ხასიათისაა თითოეული საცეკვაო ნომერი?

შეარჩიე შესაბამისი დახასიათებები: სწრაფი, ენერგიული, ხალისიანი, საზეიმო, მსუბუქი, სევდიანი, ნელი და ა.შ.

სცენები საბალეტო სპექტაკლებიდან



„გედების ტბა“



„მაცნატუნა“



„დონ კიხოტი“



„მძინარე მზეთუნახავი“



დააკვირდი შემდეგ ფრაგმენტებს კიდეც ორი ბალეტიდან და აღნიშნე:

- ა) რომელი მათგანის მუსიკაში უფრო მკვეთრად ისმის საცეკვაო რიტმი და მეტრი?
- ბ) შენი აზრით, რამდენად ემთხვევა ცეკვის რიტმი და ტემპი მუსიკალურ რიტმსა და ტემპს?

სცენები მოცემულია ლ. მინკუსის ბალეტ „დონ კიხოტი“, მ. პეტიპას და რ. ნურიევის ქორეოგრაფიით და ლ. აუერბახის ბალეტ „პატარა სირინოზიდან“, ჯ. ნოიმაიერის ქორეოგრაფიით.



სცენები ბალეტიდან „დონ კიხოტი“



სცენები ბალეტიდან „პატარა სირინოზი“

კიდეც ერთხელ უყურე ფრაგმენტებს ბალეტ „პატარა სირინოზიდან“.



1. რა მუსიკალური საშუალებებით ახასიათებს კომპოზიტორი პატარა სირინოზს?
2. როგორ არის გადმოცემული ეს მუსიკალური ხერხი საცეკვაო მოძრაობაში? შეეცადე, გამოხატო საკუთარი შესტით.
3. რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე პატარა სირინოზის პორტრეტმა? ისაუბრე ამ საკითხებზე კლასში, გამართე დისკუსია.



ჯონ ნოიმაიერი



რუდოლფ ნურიევი




ლუდვიგ მინკუსი



ლარა აუერბახი

იმღერე და დაადგინე რა ინტერვალები გხვდება. გაეცანი ალტერაციის ნიშან დუბლ დიეზს. იგი ორმაგი დიეზია – ამაღლებს ბგერას ერთი მთელი ტონით. აღმოაჩინე სავარჯიშოში ეს ნიშანი. შეასრულე სავარჯიშო ისე, რომ ყოველი ორი ტაქტის გამღერების შემდეგ შეცვალო ინტონაცია.



მუსიკა და პლასტიკა

 დააკვირდი მოცემულ ფრაგმენტებს სხვადასხვა საბალეტო სპექტაკლებიდან.



1. რომელ ცეკვაში მიჰყვება მუსიკა (მუსიკალური ტექსტი) კვალდაკვალ საცეკვაო მოძრაობას (ქორეოგრაფიულ ტექსტს) და რომელ ფრაგმენტში არაა ამგვარი თანხვედრა?
2. რომელ ფრაგმენტში არის თქვენთვის უფრო გასაგები ცეკვის შინაარსი?
3. რომელი მხატვრული სახე იქმნება მოცემულ ფრაგმენტში?
4. რა მუსიკალური ხერხებით გადმოიცემა შინაარსი, ანუ როგორია რიტმი და მელოდია?
5. რა ქორეოგრაფიული ხერხებით არის გადმოცემული ამა თუ იმ ფრაგმენტის შინაარსი?

გაიხსენე, აგრეთვე, სხვა მაგალითები.



მძინარე მზეთუნახავი



მძინარე მზეთუნახავი



ი. კილიანის ქორეოგრაფია

ამგვარად, საბალეტო სპექტაკლში მუსიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს და მას სხვადასხვაგვარი ფუნქცია აქვს. ამის მიხედვით, განასხვავებენ საბალეტო მუსიკის ნაირსახეობებს:

1. საცეკვაო აკომპანემენტი – მუსიკა, რომელიც საცეკვაო ნომერს მუსიკალურ თანხლებას უწევს.

2. აკომპანემენტი – მუსიკა, რომელიც კვალდაკვალ მიჰყვება ცეკვის ყოველ ჟესტს.

3. თანამოქმედი მუსიკა – მუსიკა, რომლის დროსაც თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება ქორეოგრაფიულ და მუსიკალურ კომპონენტებს.

4. დამოუკიდებელი მუსიკა – მუსიკა, რომელიც არ შექმნილა სპეციალურად საბალეტო სპექტაკლის, ცეკვისათვის.

5. არსებობს საბალეტო სპექტაკლები, სადაც შინაარსის გადმოცემაში მუსიკას, ქორეოგრაფიასთან შედარებით, უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება.

იმდერე სავარჯიშო და დაადგინე რა ინტერვალი გხვდება აღმავალი სვლის დროს. აღნიშნე ტაქტები, რომლებიც სხარტად, ხალისიანად ჟღერს და ტაქტები, რომლებიც თხოვნის ინტონაციით, სევდიანად ჟღერს.



ითამაშე თამაში „გაიხსენე სახელი“.



9 და ა. შ.

ბავშვი და ჯადოსნობა

იმღერე და იპოვე გადიდებული კვარტა.



მოუსმინე ჟღერადობას და მოარგე შემდეგი სიტყვები – დიდებული, ამაღლებული, მშვიდი, ნაზი, სევდიანი, მხიარული. როგორ ფიქრობ, როდესაც ზომა 9/8-ია, რამდენი თვლა იქნება ერთ ტაქტში.



უყურე ფრაგმენტებს მ. რაველის ოპერა-ბალეტიდან „ბავშვი და ჯადოსნობა“, რომლის ქორეოგრაფია ეკუთვნის ირჟი კილიანს. იმსჯელე, როგორ არის დახასიათებული ბავშვი მუსიკისა და ცეკვის მეშვეობით?



1. როგორ მიჰყვება ქორეოგრაფიული ტექსტი მუსიკალურ ტექსტს?
2. როგორია საცეკვაო რიტმის მნიშვნელობა?
3. იკითხება თუ არა ცეკვაში ნაწარმოების შინაარსი? აღწერე, რა ხდება სცენაზე.
4. შენი აზრით, რომელი მუსიკალური ელემენტი გადმოსცემს უკეთ ბავშვის ხასიათს – მელოდია თუ თანხლება?
5. როგორი ქორეოგრაფიული მოძრაობებით არის გადმოცემული ბავშვის ხასიათი? შეძლებისდაგვარად, შენი საკუთარი მოძრაობებით, გადმოეცი ბავშვის ხასიათი.
6. ჩამოთვალე, რომელი ყოფითი საგნები გააცოცხლა კომპოზიტორმა ბალეტში?



სცენები ოპერა-ბალეტიდან „ბავშვი და ჯადოსნობა“



მორის რაველი




ირჟი კილიანი

ბაღეცის ისტორიიდან – 1

 იმდერე მოცემული სავარჯიშო თანხლების გარეშე, შემდეგ თანხლებასთან ერთად.

ამოიცანი ინტერვალები აღმავალი სვლის დროს. შეურჩიე ჟღერადობას შემდეგი სიტყვები: რბილი, ფაქიზი, ნათელი, პირქუში, მუქი.



კლასიკური ბალეტის მამად აღიარებულია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ფრანგი მოცეკვავე, ბალეტმაისტერი და ქორეოგრაფიული ხელოვნების თეორეტიკოსი ჟან-ჟორჟ ნოვარი. იგი დიდ ყურადღებას ანიჭებდა მუსიკას. თვლიდა, რომ ცეკვას უნდა აესახა მუსიკა, გადმოეცა ის, რის შესახებაც მუსიკა გვიყვება. და, მხოლოდ 100 წლის შემდეგ შეიქმნა ის ბალეტები, რომლებშიც მუსიკა გამოსახვის მთავარ საშუალებად იქცა. ასეთებია ჩვენთვის უკვე ცნობილი პ. ჩაიკოვსკის ბალეტები.

საბალეტო ცეკვები განსხვავდება არა მხოლოდ თავისი ფორმით, არამედ, სახეობითაც. არსებობს კლასიკური და სახასიათო ცეკვები. **კლასიკური ცეკვა** სრულდება პუანტებზე – თითის წვერებზე, გულისხმობს განსაკუთრებულ პოზებსა და შესტებს, რომლებიც ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ჩამოყალიბდა. არსებობს კლასიკური ცეკვის ხუთი ძირითადი პოზიცია, რომელიც ფრანგმა ბალეტმეისტერმა პიერ ბოშანმა ჩამოაყალიბა.



კლასიკური ცეკვის ძირითადი პოზები

კლასიკური ცეკვების სახეებია „აღეგრო“ და „ადაჯიო“. „აღეგრო“ ჩქარი, სწრაფი ცეკვაა, რომელიც გამოირჩევა ვირტუოზული ტექნიკით, „ადაჯიო“ კი ნელი ლირიკული (ცეკვა).

სახასიათო ცეკვები, ერთგვარად, ბაძავენ ხალხურსა და სამეფლისო ცეკვებს. თუ კლასიკური ცეკვები გადმოსცემს გმირთა განწყობას და მათ გრძნობებს, სახასიათო ცეკვები – კონკრეტულ ხასიათს: ეროვნულ, ზღაპრულ, ფანტასტიკურ, კომიკურ და ა.შ.

კლასიკური ცეკვებისთვის აუცილებელია ფეხის ტერფების 180-გრადუსიანი განშლა, ნახტომები, ბრუნვები და „ფრენის“ უზუსტესი ტექნიკა. სახასიათო ცეკვებში კი ტერფების 180-გრადუსიანი განშლა აუცილებელი არაა.



დააკვირდი მოცემულ ფოტოებს და გამოარჩიე, მათგან რომელია კლასიკური ცეკვა და რომელი – სახასიათო.



 უყურე ფრაგმენტებს პ. ჩაიკოვსკისა და ლ. მინკუსის ბალეტებიდან და აღნიშნე, რომელია მათ შორის კლასიკური და რომელი – სახასიათო ცეკვა.

საბალეტო-საცეკვაო სცენები ქართულ ოპერაში

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. დროთა განმავლობაში, ხალხური ცეკვების საფუძველზე, ჩამოყალიბდა თეატრალიზებული ქართული ცეკვა და საფუძველი ჩაეყარა ქართულ ეროვნულ საბალეტო ხელოვნებას.

საბალეტო საცეკვაო სცენებით მდიდარია ქართული კლასიკური ოპერაც. ქართული ქორეოგრაფიის შესანიშნავ ნიმუშებს ვხვდებით ზ. ფალიაშვილის, მ. ბალანჩიშვილის, დ. არაყიშვილის, ვ. დოლიძის ოპერებში. თითქმის ყველგან ვხვდებით ცეკვა „ქართულს“, წყვილთა რომანტიკული ხასიათის ცეკვას, რომელიც ქართული ხალხური ქორეოგრაფიის მწვერვალად ითვლება. ცეკვას ახასიათებს მამაკაცის სწრაფი, ენერგიული მოძრაობები, ფეხის მრავალნაირი გასმა, ტანის ყოველგვარი რხევის გარეშე; ქალის მოძრაობები კი გედისებურად ნარნარი, მოქნილია, თითქოს, მიწას არც ეხებიან და ჰაერში დაცურავენო. მელოდია მრავალგზის მეორდება, ზომა უმეტესად სამნილადია და ჩქარი ტემპით გამოირჩევა.

საინტერესოა, რომ თავიანთ ნაწარმოებებში ეს ცეკვა გამოიყენეს უცხოელმა კომპოზიტორებმაც, მათ შორის: გლინკამ, რუბინშტეინმა, ხაჩატურიანმა...



მოისმინე ცეკვა „ქართულის“ სამი ნიმუში ზ. ფალიაშვილისა და ვ. დოლიძის ოპერებიდან: „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“ და „ქეთო და კოტე“.

ცეკვა „მირზაია“ („სამაია“), რომელიც ჯერ კიდევ წარმართობის პერიოდიდან არსებობდა საქართველოში, ნაყოფიერების ღმერთს – მთვარეს ეძღვნებოდა. იგი გვხვდება ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერში“, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი ცეკვა „ბაღდადურის“ ელემენტები ვ.დოლიძემ ოპერა „ქეთო და კოტეში“ გამოიყენა. „ბაღდადური“ ქალაქური ცეკვაა, იგი ხშირად სრულდება საგაზაფხულო დღესასწაულებზე, განსაკუთრებით, ყეენობაზე. მას საფუძვლად დაედო ქართული გლეხური ცეკვა „ბუქნი“. მას ახასიათებს ხტომითი მოძრაობები და პანტომიმის ელემენტები.



უყურე ცეკვებს: „მირზაია“ და „ბაღდადური“. ყურადღებით მოისმინე მუსიკა, განსაზღვრე მათი ტემპი, ზომა, ხასიათი და შეადარე ერთმანეთს.



ცეკვა სამაია



ცეკვა ქართული

„გორდა“

იმღერე სავარჯიშო, დაადგინე რა ინტერვალი გვხვდება დაღმავალი სვლის დროს. უპასუხე შეკითხვას: როგორი ინტონაციით უღერს სავარჯიშო თანხლების გარეშე. ა) კითხვითი; ბ) ბრძანებითი; გ) თხრობითი. იმსჯელე, როგორ იცვლება სავარჯიშოს უღერადობა თანხლების დროს.



პირველი ქართული ბალეტები XX საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა. ესენია ანდრია ბალანჩიშვილის „მთების გული“ და გრიგოლ კილაძის „სინათლე“. მათ მოჰყვა სულხან ცინცაძის „ცისფერი მთის საუნჯე“, ალექსი მაჭავარიანის „ოტელო“ – ერთ-ერთი საუკეთესო ქართული ბალეტი და სხვა.

ქართული ბალეტის განვითარებაში უდიდესი და უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ვახტანგ ჭაბუკიანმა – პირველი ქართული ბალეტების ქორეოგრაფმა და უბადლო მოცეკვავემ. მან ქართულ ბალეტში გააერთიანა კლასიკური ბალეტისა და ქართული ქორეოგრაფიის ელემენტები. დავით თორაძის „გორდას“ საბალეტო დადგმაც სწორედ მან განახორციელა.

„გორდას“ საფუძვლად დაედო თქმულება სურამის ციხის აგების შესახებ. ახალგაზრდა მოქანდაკე გორდასა და მეფის ასულ ირემას ერთმანეთი შეუყვარდებათ. გორდა უყვარს ჯავარასაც, რომელსაც შურს ახალგაზრდების სიყვარულის და მათზე შურისძიებას გადანწყვეტს, თუმცა ბალეტს ბედნიერი დასასრული აქვს.



დავით თორაძე



ვახტანგ ჭაბუკიანი



ჭაბუკიანი ოტელო როლში

გაეცანი ბალეტ „გორდას“ ლიბრეტოს – შინაარსს, მოუსმინე მუსიკას, ნახე რამოდენიმე ფრაგმენტი ამ ბალეტიდან და მოაწყვე პრეზენტაცია კლასში.



მოისმინე და იხილე რამდენიმე ფრაგმენტი ამ ბალეტიდან და განასხვავე.



1. რომელია კლასიკური ცეკვა?
2. რომელია სახასიათო ცეკვა?
3. რომელია პანტომიმის ეპიზოდები და რას მოგვითხრობს ისინი?
4. როგორ არიან დახასიათებულნი მთავარი გმირები – გორდა, ირემა და ჯავარა?
5. რომელი ქართული ხალხური სიმღერის თემაა გამოყენებული ირემას ადაჯიოში?
6. რომელი ქართული ეროვნული ცეკვის რიტმები გესმის ქართველების მტერთან ბრძოლის ეპიზოდში?



სცენები ბალეტ „გორდიდან“

ბალეტის ისტორიიდან – 2

XX საუკუნიდან, საბალეტო ჟანრში კომპოზიტორები და ქორეოგრაფები ახალ გამომსახველობით საშუალებებს ეძებენ. იქმნება მოდერნ-ბალეტი.

წარმოშობით ქართველი ჯორჯ ბალანჩინი (გიორგი ბალანჩივაძე) უდიდესი ამერიკელი ქორეოგრაფი, ამერიკული კლასიკური ბალეტის ფუძემდებელი და საზოგადოდ, თანამედროვე ნეოკლასიკური საბალეტო ხელოვნების შემქმნელია. იგი მთელს მსოფლიოში თანამედროვეობის უდიდეს ქორეოგრაფადაა აღიარებული. თავდაპირველად ბალანჩინი სიუჟეტურ ბალეტებს დგამდა, შემდეგ კი უსიუჟეტო, ე.წ. აბსტრაქტული ბალეტების დადგმა დაიწყო. მისი წარმოდგენები უმეტესად ერთმოქმედებიანია. ძალზე ხატოვანი, გამომსახველი, რთული მოძრაობების საშუალებით, იგი ცდილობდა, მუსიკა ხილვადი გაეხადა. ბალანჩინის უსიუჟეტო ბალეტები, ძირითადად, დადგმულია სიმფონიურ მუსიკაზე, რომელიც, ჩვეულებრივ, ცეკვისთვის არაა განკუთვნილი.



ჯორჯ ბალანჩინი და იგორ სტრავინსკი



ბალანჩინი მიიჩნევდა, რომ ბალეტში სულაც არ არის აუცილებელი სიუჟეტი, მთავარია მხოლოდ მუსიკა და მოძრაობა. გარდა ამისა, თვლიდა, რომ სპექტაკლი შეიძლება დეკორაციებისა და მდიდარი კოსტიუმების გარეშეც დაიდგას. ქორეოგრაფისთვის მთავარი ინსტრუმენტი, მთავარი საშუალება მოცეკვავის სხეულია და პირველ რიგში სწორედ ის უნდა იყოს წარმოჩენილი; ცეკვა ყველაფერს მხოლოდ მუსიკის მეშვეობით უნდა გამოსახავდეს.



ბალანჩინი რეპეტიციაზე

დააკვირდი ფოტოებს, ამოიცანი და განასხვავე კლასიკური და თანამედროვე ბალეტის ნიმუშები.



მოუსმინე ფ. შოპენის ნოქტიურნს №1. ჯ. გერშვინის „ცისფერ რაფსოდიას“. გამოსახე მუსიკა შესაბამისი პლასტიკით – იცეკვე.

☀ ამოიცანი ინტერვალები და მასწავლებლის საფორტეპიანო აკოპანემენტთან ერთად იმღერე. ჟღერადობას შეუსაბამე შემდეგი სიტყვები – ღირსეული, ამაღლებული, მედიდური, დინჯი, მკვირცხლი, სხარტი, შეუპოვარი.



„მაკნატუნა“

პიოტრ ჩაიკოვსკის ბალეტ „მაკნატუნას“ ლიბრეტოს საფუძვლად დაედო გერმანელი მწერლის, ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანის საშობაო ზღაპარი. ბალეტის მოქმედება პატარა გერმანულ ქალაქში ხდება. ბავშვები, უფროსებთან ერთად, ზეიმობენ საახალწლო ნაძვის ხის გარშემო. გოგონა მაშას ნათლია ჩუქნის თხილის სატეხ თოჯინას – მაკნატუნას, „შჩელკუნჩიკს“.

სალამოვდება, სტუმრები დაიშლებიან, მაშა კი ვერ იძინებს. მას ეჩვენება, რომ ნაძვის ხე იზრდება, სათამაშოები ცოცხლდებიან და საიდანლაც გამოძვრებიან თავგები, თავიანთი მეფის წინამძღოლობით. ისინი ხის ჯარისკაცებს ბრძოლას გაუმართავენ. უთანასწორო ბრძოლაში მამაცი მაკნატუნაც ჩაერთვება. მას მაშაც დაეხმარება, ფეხსაცმელს გაიძრობს და თავგების მეფეს ესვრის. ასე გადაარჩენს იგი მაკნატუნას, რომელიც მშვენიერ პრინცად გადაიქცევა. თოვლის ფიფქების ვალსის ფონზე მაშა და პრინცი მშვენიერ ზღაპრულ სამეფოში მიემგზავრებიან, დედოფალ-ფერია დრაჟეს ტკბილეულთა სამეფოში. იწყება ზეიმი, სადაც სხვადასხვა ქვეყნის სტუმრები თავიანთ ეროვნულ ცეკვებს ასრულებენ. ბალეტი მთავრდება სილამაზითა და სიყვარულით აღსავსე „ყვავილების ვალსით“.

პ. ჩაიკოვსკის მუსიკაზე ბალეტი დადგა მორის პეტიპამ. იგი იყო ფრანგი ქორეოგრაფი და მოცეკვავე, რომელმაც ძალიან დიდი როლი ითამაშა რუსული ბალეტის ისტორიაში. მან შექმნა დიდი ბალეტების კლასიკური სტილი, რომელიც უმაღლესი ოსტატობით და პოეტური შთაგონებით გამოირჩევა.



პიოტრ ჩაიკოვსკი



მორის პეტიპა



ერნსტ ჰოფმანი



უყურე ფრაგმენტებს ბალეტიდან „მაკნატუნა“.



1. რომელია შენთვის ნაცნობი მელოდიები?
2. შეადარე ერთმანეთს თოვლის ფიფქების და ყვავილების ვალსები.
3. შეადარე ტკბილეულთა ცეკვები და აღნიშნე: ა) როგორ ვლინდება მათში ზღაპრული და ამასთანავე, ეროვნული ხასიათი? ბ) რითი გვანან და რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან?
4. გამომსახველობის რა საშუალებებს იყენებს კომპოზიტორი თავგებისა და მაკნატუნას ორთაბრძოლის სცენაში? როგორ არის ასახული მუსიკაში კეთილი და ბოროტი სახეები?



რომელ ცეკვაში გამოიყენა ჩაიკოვსკიმ საკრავი ჩელესტა? როგორ ხასიათს ქმნის ეს საკრავი?



ჩელესტა



„მაკნატუნას“ სხვადასხვა მუსიკალური ნომრიდან აარჩიე მცირე მოტივები, გადააქციე სემპლებად და მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამაში შექმენი კოლაჟი. შემდეგ, ეს კოლაჟი გამოხატე გრაფიკული ხაზით ან პიქტოგრამებით.

ფოლკლორი პროფესიულ მუსიკაში

ფოლკლორი პროფესიული მუსიკის საზრდოა. თითქმის ყველა კომპოზიტორი მიმართავს თავის ნაწარმოებებში ინტონაციებს ხალხური მუსიკიდან. ზოგიერთ პროფესიულ ნაწარმოებში შეგვიძლია ამოვიცნოთ ამა თუ იმ ხალხური სიმღერის მელოდია; ზოგჯერ კი ხალხური ინტონაცია შეზრდილია კომპოზიტორის მუსიკალურ ენასთან.

იმღერე ქართული ხალხური სიმღერების „ლალე“, „ციცინათელა“, „სულიკო“. მელოდიები.



იხ. დანართი.



მოისმინე სულხან ცინცაძის სიმებიანი კვარტეტისთვის დაწერილი იმავე სახელწოდების მინიატურები: „ციცინათელა“, „ლალე“, „სულიკო“ ამოიცანი ხალხური სიმღერების მელოდიები და ამის მიხედვით, მიანიჭე თითოეულ პიესას სახელწოდება.

შემდეგ მოისმინე სულხან ცინცაძის სხვა საკვარტეტო მინიატურები: „საჭიდაო“, „ინდი-მინდი“, ასევე IV კვარტეტის I ნაწილი. ამოიცანი, რომელ ნაწარმოებში არ ისმის ხალხური მუსიკის ინტონაცია. რა გამომსახველობითი ხერხით არის გადმოცემული: მელოდიით, საკრავის ტემბრით, რიტმით?



ცეკვა „ხორუმი“



დააკვირდი ეკრანს და ტაშით გაიმეორე ხორუმის მუსიკალური თანხლების რიტმი. შემდეგ მოისმინე სამი სხვადასხვა კომპოზიტორის – ალექსი მაჭავარიანის, სულხან ცინცაძისა და მერი დავითაშვილის – ხორუმები.

როგორ გამოსახეს კომპოზიტორებმა ამ ნაწარმოებებში ხორუმის ინტონაციები?

იავნანა

იმღერე ქართული ხალხური სიმღერა „ნანა“.

იავნანა

ი - ავ ნა - ნა ვარ - დოვ ნა - ნა ი - ავ ნა - ნი
 ი - ავ ნა - ნა ვარ - დოვ ნა - ნა ი - ავ ნა - ნი
 ნა - ო ავ - რე ტეპი-ლად უ - დარ დე-ლად რაშ და - გა - ძი -
 ნა - ო ავ - რე ტეპი-ლად უ - დარ დე-ლად რაშ და - გა - ძი -
 ნა - ო დე - დის მკერდ - ში მი - გოვ ნი - ა შენ ტეპი -
 ნა - ო დე - დის მკერდ - ში მი - გოვ მი - გოვ — შენ ტეპი -


22

Քանի որ Ես եմ, օ - ղն Ես - Ես ցանկ - ցուց Ես - Ես օ - ղն

Քանի որ Ես եմ, օ - ղն Ես - Ես ցանկ - ցուց Ես - Ես օ - ղն

30

ნაწაწისა იადისო და ვარდის კონია
 ეს სიამ ვარუად ვაფუთუ ჩემი ნახისო
 აუ ვარუად ვაფუთუ სიამ შიგუქსნაო
 ჩასა ვარდოვ ნანა აფნახნაო





 მოისმინე სამი ფრაგმენტი პიოტრ ჩაიკოვსკის ბალეტ „მაკნატუნადან“:

1. სტუმრებთან მისალმების სცენა; 2. არაბული ცეკვა „ყავა“; 3. „ყვავილების ვალსი“.

დაასახელო, რომელ ფრაგმენტში გვხვდება ქართული ხალხური მუსიკის ინტონაცია.

გაიხსენე, გლინკას სიმფონიურ ფანტაზია „არაგონული ხოტა“, „ვალსი-ფანტაზია“ და „ჩერნომორის მარში“. რომელ ფრაგმენტში ჟღერს ესპანური ცეკვის რიტმ-ინტონაცია.



ცეკვა „ხოტა“

სპირიტუელსი

დააკვირდი პარტიტურას და იმღერე ზანგური სპირიტუელსი.

ჩანანერის სახით მოცემულია საგუნდო პარტიტურა. ვიოლინოს გასაღებში ჩან-
ერილია პირველი და მეორე ხმის პარტია, (მეორე ხმისთვის განკუთვნილ ნოტებს
შტილები მინერილი აქვთ ქვედა მიმართულებით). ხოლო დანარჩენი ხმები ბანის
გასაღებში.

შვიდად და ტკბილად ირწევა ეტლი

Swing low, sweet Chariot

Swing low, sweet char - i - ol, Com - ing for to car - ry me home,

Swing low, sweet char - i - ol, Com - ing for to car - ry me home, *Fine*

solo
I looked o - ver for - dan, and what did I see,

tutti
Com - ing for to car - ry me home? A bend of an - gels

D.C.
com - ing af - ter me, Com - ing for to car - ry me home.



მოისმინე ფრაგმენტი ჩეხი კომპოზიტორ ანტონინ დვორჟაკის სიმფონია №9 „ახალი სამყაროდან“ და ამოიცანი სპირიტუელის ინტონაცია, დაასახელე, რომელ საკრავებში ჟღერს სპირიტუელის ინტონაცია.

ჩეხმა კომპოზიტორმა დვორჟაკმა იმოგზაურა აშშ-ში, სადაც სამი წელი დაჰყო. ამერიკაში იგი დაინტერესდა როგორც ადგილობრივი ინდიელების, ისე ზანგური ფოლკლორით, რაც აისახა კიდეც მის სიმფონიაში, რომელსაც „ახალი სამყაროდან“ უწოდა. ნაწარმოებში აგრეთვე, გამოყენებულია ჩეხური მუსიკის ინტონაციები. გამოჩენილი ამერიკელი კომპოზიტორი ლეონარდ ბერნსტაინი წერდა, რომ სხვადასხვა ქვეყნის ფოლკლორზე დაყრდნობით დვორჟაკმა მრავალნაციონალური ინტონაციებით შექმნა მე-9 სიმფონია“.

ანტონინ დვორჟაკი (1841-1904) ჩეხი კომპოზიტორია. თავის ნაწარმოებებში მშობლიური ბოჰემიის და მორავიის ფოლკლორულ მელოდიებს იყენებდა. ასევე გამოყენებული აქვს ზანგური ფოლკლორის სპირიტუელის ინტონაციები. დვორჟაკმა შექმნა ოპერები, სიმფონიები, მუსიკა გუნდისა და სიმებიანი საკრავებისათვის. დღესდღეობით, მრავალი ქვეყნის საკონცერტო დარბაზში სრულდება და დიდი პოპულარობით სარგებლობს დვორჟაკის მე-9 სიმფონია „ახალი სამყაროდან“, სლავური ცეკვები, სავიოლინო და საფორტეპიანო კონცერტები.



ანტონინ დვორჟაკი

ზანგური სპირიტუელის ინტონაციებით არის გაჯერებული ამერიკელი კომპოზიტორ ჯორჯ გერშვინის პირველი ამერიკული ეროვნული ოპერა „პორგი და ბესი“.



მოისმინე სპირიტუელსი და რამოდენიმე ფრაგმენტები ოპერა „პორგი და ბესიდან“. იპოვე მსგავსება მათ შორის, სად არის გატარებული ხალხური ინტონაციები და რიტმები – თანხლებაში, მელოდიურ ხაზში, რიტმში?



სცენა ოპერიდან „პორგი და ბესი“



ჯორჯ გერშვინი როიალთან



მოისმინე და გამოთქვი შენი აზრი, რომელ ფრაგმენტში გამოიყენა, ჯ. გერშ-
ვინმა ხალხური ინტონაცია.

გერშვინის „პორგი და ბესი“ Somvertime
„რაფსოდია ბლუზის ტონებში“



ანიმაცია – ფანტაზია ჯ. გერშვინის რაფსოდიაზე „ბლუზის ტონებში“

ქართული მუსიკალური ფოლკლორი მრავალ დიალექტად იყოფა და ხშირ შემთხვევაში კონკრეტული კუთხისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებით ხასიათდება. ყველა მხარეში არსებული ერთი და იგივე სახელწოდებების სიმღერები: მგზავრული, ნადური, მაყრული, სუფრული, ალილო, ფერხული სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.



მოუსმინე „ჩაკრულოს“ და „ხასანბეურას“ ნაიკითხე ტექსტი სადაც აღწერილია თითოეულის დამახასიათებელი მუსიკალური ელემენტი. ამის მიხედვით ამოიცნი და დაასახელე საქართველოს რომელ კუთხეს ეკუთვნის ეს სიმღერა.

1. კახურ სიმღერაში, ულამაზეს ჰარმონიას ქმნის გუნდის უნისინიური გაბმული ბანი. სოლისტების პირველი და მეორე ხმის პარტიების თანაჟღერადობა. სოლოს მელოდია შემკულია შელამაზებებით-მელიზმებით. სიმღერა მასშტაბურია.

2. გურული სიმღერა სწრაფია და ენერგიული. ამავე დროს თხრობითი ხასიათისაა. სრულდება გუნდისა და ტრიოს მონაცვლეობით. კრიმანჭულის სწრაფი მოძრაობა, მეორე ხმისა და ბანის დამოუკიდებელი მელოდიები საოცარ პოლიფონიურ ჟღერადობას ქმნის.

ეს საინტერესოა:

„ჩაკრულო“ შევიდა იუნესკოს არამატერიალური მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხაში. როგორც კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედეგრი. 1977 წელს ილია ზაქაიძის და როსტომ საგინაშვილის მიერ შესრულებული ვერსია „ნასამ“ კოსმოსში გაგზავნა.

ქართველო, ხელი ხმალს იკარ



მოისმინე ფრაგმენტები ოპერებიდან: ნიკო სულხანიშვილის „პატარა კახი“ – არია „დაიგვიანეს“, ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ – აბესალომის არიოზოს „მე ბაბი-ბანად გეძებდა“ და აბესალომის და მურმანის დუეტს. იმსჯელე რომელ ფრაგმენტში ისმის ხალხური სიმღერის მოტივები.



მოისმინე სამი ფრაგმენტი ზაქარია ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“: 1. ეთერის არია „დედინაცვალი“; 2. კვარტეტი „ნამნამსა და ნამნამს შუა“; 3. გუნდი ქორნილის სცენიდან.

რომელ ფრაგმენტში ისმის ნაცნობი ქართული ხალხური სიმღერის მელოდია. გაიხსენე სიმღერის სახელწოდება.

იმღერე ქართული ხალხური სიმღერა „ქართველო ხელი ხმალს იკარ“.

ქართველო ხელი ხმალს იკარ

სილი 1 სპა

იხ. დანართი.



მოუსმინე სიმღერას, ნაიკითხე ტექსტი და ამის მიხედვით ამოიცნი, რომელი კუთხის სიმღერა ჟღერს.

იმერული შრომის სიმღერა „ნადური“ ორი გუნდის მონაცვლეობით სრულდება. რაც მთიდან მთაზე გადაძახილს, ექოს, ერთად შეთანხმებულად გუნდურად მუშაობის სცენას ხატავს. სიმღერის ტემპი თანდათან მატულობს და დინამიური განვითარებით მიიწევს კულმინაციისაკენ. მხოლოდ ფინალში ორივე გუნდის უნისონურ ჟღერადობაში ისმის შენელება, ნიშნად იმისა, რომ მიწადმოქმედთა მუშაობა დასრულდა.

კახურ ნადურში „კალოსპირული“ სოლოსტის ხავერდიოვანი ხმის ტემპრით გამოცემულია გლეხკაცის დინჯი შრომის სურათი. ისევე როგორც „ჩაკრულოში“, აქაც სოლისტის პარტიისათვის დამახასიათებელია მელოდიის მელიზმებით (ქართულ ფოლკლორში ეგრეთწოდებული ჩახვევებით) გაღამაზება. გრძელი გრძლიობის ბგერებით აჟღერებული გუნდისა და სოლისტის პარტიები დინჯად აუჩქარებლად, ტემპის ცვლილების გარეშე იწყებს და ასრულებს თხრობას.

მრავალჟამიერ



მოუსმინე და შეადარე ერთმანეთს შემდეგი სიმღერები: ფშაური ნანა და მეგრული ნანა.

დაადგინე რამდენხმანია, სიმღერები და იპოვე საერთო და განსხვავება.

იმღერე ქალაქური სიმღერების პოპური. ჟღერადობას მოარგე ქვემოთ მოცემული წინადადებები:

1. მკვეთრი ტეხილი რიტმი. კონსონანსი ჟღერეადობა.
2. მღერადი მელოდია, ვალსის რიტმით.



მოუსმინე და ამოიცანი სახელწოდება: ა) მეგრული სახუმარო სიმღერა სადაც ასახულია მხიარულება სოფლის ეზოში; ბ) ძილისპირული ნანა; გ) კახური შრომის სიმღერა.

ახლა კი მოუსმინე სვანურ ფერხულს „შინავორგილ“ და რაჭულ საცეკვაო სიმღერას „ტაში ბიჭო გიორგუნა“ გამოთქვი აზრი, რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისა და სხვა კუთხის სიმღერებისაგან. იპოვე ერთი საერთო ელემენტი რითაც დააკავშირებთ ამ ორ სიმღერას.

შეადარე თუშური სიმღერა „მთიდან სიმღერით მოვდივართ“ და იმერული მგზავრული „ჰადილო“ ხასიათის, ტემპის, რიტმის, კუთხით.

მოარგე ქვემოთმოცემული წინადადება.

ამ სიმღერას აქვს გამორჩეული თავისებური მეტრი და რიტმი.



მოუსმინე და შემდეგ იმღერე მრავალჟამიერი (იხ. დანართი). გამოთქვი ვარაუდი. რომელი ტიპის (ქალაქური) თუ კუთხის: კახური, გურული, მეგრული ფშაური ფოლკლორული ინტონაციები ახდენს გავლენას რატი ჯულაყიძის ამ ნაწარმოებზე.



ჰერიო, ჰერიო

მუსიკა: რევაზ ლალიძე
ტექსტი: პეტრე გრუზინსკი

ჰერიო, ჰერიო, ბიჭებო ჰე!
ბიჭებო, ბიჭებო, ბიჭებო ჰე!
ქვეყნად რამდენი ზღვა არის
რამდენი ლურჯი ცა არის,
მაგრამ აქ მაინც სხვა არის.
